

2008 წელი, 1 ივნისი

## ახალი ამბები

**სტიქიური უბედურებები ყოველწლიურად საქართველოს 100-150 მილიონ დოლარით აზარალებს**

გარემოს დამცველი არასამთავრობო ორგანიზაციის “მწვანე ალტერნატივას” ინფორმაციით, საქართველოში ბოლო 30 წლის მანძილზე სხვადასხვა სტიქიური მოვლენის საშიშროების წინაშე აღმოჩნდა 3000-მდე დასახლებული პუნქტი, რაც ქვეყნის დასახლებული ტერიტორიების 80 პროცენტია.

სტიქიური უბედურებებით ქვეყნის ეკონომიკისადმი ყოველწლიურად მიყენებული ზარალი საშუალოდ 100-150 მილიონ დოლარს შეადგენს. 2004 წელს კი, ეს მაჩვენებელი 300 მილიონ დოლარს გაუტოლდა.

სტიქიურ უბედურებებს იწვევს როგორც ბუნებრივი, ისე ანთროპოგენური ფაქტორები. ანთროპოგენურ ფაქტორებს შორისაა გარემოზე ე.წ. ურბანიზაციული ზეწოლა, ინფრასტრუქტურული პროექტები, სამთო-მოპოვებითი მრეწველობა და არასწორად ჩატარებული სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები.

**რედაქტორი გიორგი ქიტიაშვილი**